

„რას ფიქრობ დღეს?“

2008 წელს, არტისტერიუმის პირველი გამოფენის თემა რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ რეალობაში ახალი ორიენტირების პოვნის აუცილებლობას ეხებოდა - „Modus Operandi“ - განსხვავებული გზის ძიებაში“.

2009 წელს აქცენტმა პერსონალურ პრობლემატიკაზე გადაინაცვლა - „ცვლილებების მანიფესტი და შინაგანი გამოცდილება“

2010 წელს მომავალზე დაფიქრდით - „წარმოიდგინე მომავალი“, თუმცა 2011 წელს დეზორიენტაციის განცდა კვლავ აქტუალური აღმოჩნდა - „თავისუფალი ვარდნა“.

2012-2013 წელს თემები უფრო დაკონკრეტდა და პროტესტის ბუნებას და განსხვავებების შეთავსებას იკვლევდა - „პროტესტი, რომელიც არასდროს მთავრდება“ და „ვარ მე შენ?“

2014 წელს ერთი რომელიმე პრობლემის გამოყოფა უკვე შეუძლებელი გახდა - „ჰიუსტონ, პრობლემა გვაქვს!“.

2015 წლის „არტისტერიუმი“ თემად პოპულარული სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ საკომუნიკაციო ენას იყენებს. „რას ფიქრობ?“ შეკითხვაა, რომელსაც ქსელის მომხმარებელი საკუთარი კედელზე სტატუსის განახლებისას პასუხობს. ვირტუალურ კედლებზე ადამიანები მათი ცხოვრების საზოგადოებისთვის აქამდე უცნობ დეტალებს „ფენენ“, გვამცნობენ საკუთარ დამოკიდებულებას პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, საყოფაცხოვრებო თუ სხვა სახის პრობლემების მიმართ, გვიზიარებენ მათი აზრით საინტერესო მზულეებს, იმიჯებს, რეაგირებენ ამა თუ იმ მოვლენაზე.

უცნობებს შორის კავშირები და ურთიეთგაცვლის შესაძლებლობი სოციალურ ქსელებში უკიდურესად გამარტივებულია. ადამიანთა შორის კომუნიკაციის შესახებ უნგრელი მწერლის ფრიგე კორინთის 1929 წლის მოთხრობის, „ჯაჭვის რგოლების“ თანახმად დედამიწაზე ნებისმიერი ორი ადამიანი ერთმანეთისგან საერთო ნაცნობობის ჯაჭვში მხოლოდ ექვსი ადამიანით, ექვსი „საფეხურითაა“ დაშორებული. მოგვიანებით ეს იდეა „დაშორების ექვსი საფეხურის“ თეორიად ჩამოყალიბდა და სოციალური ქსელის განვითარების ერთ ერთი ინდიკატორად იქცა.

სოციალური ქსელისგან განსხვავებით, სადაც ყველას ეძლევა თვითგამოხატვის შესაძლებლობა, შეკითხვით „რას ფიქრობ დღეს?“ წლევანდელი არტისტერიუმი არტისტებს მიმართავს და მათ „პასუხებს“ საგამოფენო სივრცის რეალურ „კედლებზე“ ფენს. არტისტერიუმის კონტექსტში „რას ფიქრობ დღეს?“ ვირტუალურ და რეალურ სამყაროებს შორის თითქოს წაშლილი საზღვრის, ადამიანთა შორის ახალი ტიპის კომუნიკაციის და ზოგადად, დღევანდელი დღის კვლევას გულისხმობს.

ქართულ სათაურში თემას სიტყვა „დღეს“ დავამატეთ, ქართველი მხატვრის ნიკო ცეცხლადის ამავე სახელწოდების ნამუშევრის აღსანიშნავად, რომელიც 1994 წელს ბრიტანულ-ქართული პროექტის, „აბრეშუმის გზის“ ფარგლებში იყო გამოფენილი. ინსტალაცია წარმოადგენდა კედელზე სარკისგან ამოჭრილი ასოებით შედგენილ წინადადებას „რას ფიქრობ დღეს?“, რომელშიც მნახველი საკუთარ ანარეკლსაც ხედავდა. ნიკო ცეცხლადის ნამუშევრის ახალ ვერსიას მაყურებელი 2015 წლის არტისტერიუმის ფარგლებშიც იხილავს, როგორც შეკითხვის კრეატიული პოტენციალის კიდევ ერთ დადასტურებას, შეკითხვის, რომელიც დროსთან ერთად კიდევ უფრო აქტუალური გახდა.